


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობივ ბეჭდ-  
უძი სიფყვას, ცყუილებით და ქაბიბით ბუბ-  
თის გაფანა ყველა უჯადისბაზგ უსაბაგოლსია.

პარასკევი, 21 აპრილი. 2017 წ. №82 (8219), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

## ვინც „ოცნებას“ ებრძვის, ის „ნაცების“ საქმეს აკეთებს!

რაცა სიბართლე  
ქვას ხეიძვას...

ძალაუფლებისადმი მანიაკალური ლტოლვით შეპყრობილი, სამშობლოს განცდისგან „თავისუფალი“ და ამის გამო აღვილად სამართავი მიხეილ სააკაშვილი მათთვის უფრო მისადები „პარტნიორია“, ვიდრე, მაგალითად, თავის მიწა-წყალზე შეყვარებული, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის მაგარებელი (შესაძლებლობებიდან და ბიზნესის მასშტაბებიდან გამომდინარე) ბიძინა ივანიშვილი.

### დედაკაცმა თყ ვაიწია...

#### ნილო გუკუანაძე: ...რაღბან პუტინის გვარის პ-ზე იწყება

თუ არ გავაფრენთ და შიზოფრენია არ დაგვემართება, იქნება ძალიან კარგი — ასე ესმაურება „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნილო გუკუანაძე „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ინიციატივას:



„ავგრძალოთ ქართულ ენაში გამოყენება ყველა იმ სიტყვის, რომელშიც გამოიყენება ასო ბგერა რ, მივაცოლოთ სიტყვები, რომელშიც გამოიყენება ასო ბგერა ვ, რადგან პუტინის სახელი ვლადიმერი ვ-თი იწყება და მივაცოლოთ ასევე სიტყვები, სადაც გამოიყენება ასო ბგერა პ. პუტინის გვარიც პ-ზე იწყება. თუ არ გავაფრენთ და შიზოფრენია არ დაგვემართება, იქნება ძალიან კარგი.“

ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, თუ მას უნდა ენ. პრორუსული პარტია ხელისუფლების სათავეში, მაშინ უნდა მოვიდეს ეს პარტია, თუ დემოკრატია აღარ არის? თუ ამერიკის საელჩომ უნდა გადაგვიწყვიტოს, რომელი პარტია უნდა მოვიდეს და რომელი არ უნდა მოვიდეს? — განაცხადა გუკუანაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ პრორუსული, ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდის წინააღმდეგ პარლამენტში საკანონდებლო ცვლილებათა პაკეტს წარადგენს. ორგანიზაცია პრორუსული პროპაგანდის აკრძალვას ითხოვს.

#### აღა მარშანია: სამარცხვინოა ასეთი მიღომა!..




„25-30 გაიმართება პირველი სდომა, ეს არის დიდი გაუგებრობა და სირცხვილი, მე ასე შევაფასებდი ამ ფაქტს“, — განაცხადა საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ წევრმა ააღა მარშანიამ.

მისი თქმით, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია მუშაობას მხოლოდ ახლა იწყებს, არადა ახალი პარლამენტის შეკრებიდან უკვე 5 თვე გავიდა. მისი თქმით, სანყის ეტაპზე იყო ხარვეზები და თანამდებობის გაყოფის შესახებ მსჯელობები, მაგრამ ამის გამო ხუთთვიანი დაგვიანება ყოვლად მიუღებელი დამოკიდებულებაა.

„ვფიქრობ ამის მიზეზი არა ტექნიკური ხარვეზი, არამედ მენტალური პრობლემაა. აბსოლუტურად მიუღებელი და სამარცხვინო მიდგომა აქვთ ასეთი უსერიოზულესი საკითხის მიმართ“, — განაცხადა ააღა მარშანიამ.

#### მთიანეთიანა ალაშიანა 250 კილოგრამი დაიკლო

მეზობელმა ემან აბდ ელ-ატიმ, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მძიმეწონიან ადამიანად ითვლება, 250 კილოგრამი დაიკლო. ინდოეთის კლინიკაში ჩატარებული მძიმე ოპერაციის შემდეგ მან ნახევარი წონა დაკარგა. მანამდე ელ-ატი 500 კილოგრამს იწონიდა. ბარიატრიული ოპერაცია მას 2 თვის წინ ჩაუტარეს.



## სასკოლეზეა სულ გაუბიუს!



4

სად <sup>5</sup>  
დაბვიკარბა  
სიტყვა -  
სამუოგლო?



ეკებათ და  
იკოვით!

ანუ ვინ  
უნდა  
დაიხვას  
ხალხი? <sup>2</sup>



ნაცკაცუნა  
<sup>4</sup> ხელისბიჭობიდან  
ზავით და... ქვავით



















ლაიონარი

ზაზას მორიბი ათიანი

ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტიტმა“ პლეი-ოფის მეორე შეხვედრაში შინ „პორტლენდი“ 110:81 დაამარცხა...



მთელი შეხვედრის განმავლობაში მდევრის როლში გახლდნენ. მატჩში ყველაზე მეტი 19 ქულა სტივ კარის ანგარიშზეა...

სერიას „გოლდენ სტიტი“ 2:0-ს იგებს. მომდევნო შეხვედრა პორტლენდში 23 აპრილს გაიმართება...

ვიტალი ჯაფარიძე

ჩოგბურთი

ნაღლის გაზაფხული



დიდი სლემის 14-გზის ჩემპიონმა რაფაელ ნადალმა მონტე-კარლოს მასტერზის პირველ ნრეში ბრიტანელი კაილ ედმუნდი 6:0, 5:7, 6:3 დაამარცხა...

რაფამ ბრიტანელი პირველ სეტში 6:0 გაანადგურა, მეორე პარტიაში 2:1 ბრეიკით დაწინაურდა...

1/8-ფინალში რაფაელი გერმანელ ალექსანდრ ზვერეცს შეხვდება, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 2:0-ს ამარცხებს.

ბადრი იაშვილი

ჩაპიონთა ლიგა

რენესანსი მეორდება?

მონდბ ის, რასაც ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე - „ბარსელონამ“, კერძოდ, მისმა ლიდერმა ლეო მესიმ, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მეოთხედფინალურ შეხვედრაში ტურინის „იუვენტუსთან“ მხოლოდ ერთი ზუსტი დარტყმა შეასრულა...



მასპინძელთა უდიდესი ფაფხურის შემხედვარე, კაცი ძალაუნებურად იფიქრებდა - ნუთუ ეს ის გუნდია, რამდენიმე კვირის წინათ რომანტიკული თამაშით გამოჩენილი „პარი სენ-ჟერმენი“ რომ გააცამტვერაო?!

ზოგმა შეიძლება ეს ფაქტი კრიზისის დაუკავშიროს - მთელი სეზონის ჩავარდნის გარეშე გავლა ხომ პრაქტიკულად შეუძლებელია...

ალბათ, არიან ისეთებიც, ვინც ლუის ენრიკეს შეგირდთა ასეთ უმატილო ბღღარაქუნს მოახლოებულ „ელ კლასიკოს“ დააბრალებს - აქაოდა მარადიულ მოქიშპესთან - „რეალთან“ დამდეგ უქმეებზე მადრდობს სტუმრობის წინ, სადაც პრიმერა-დივიზიონის ჩემპიონობის ბედი უნდა გადაწყდეს...

ვიმეორებ, მართალია, მოვლენათა ასეთ განვითარებას ბევრი არ ელოდა, მაგრამ უნდა ვალიაროთ: აპენინელებმა კლასიკური ფეხბურთით დაჩრდილეს მრისხანე მეტოქე და დამსახურებულად გავიდნენ ნახევარფინალში.

„მონაკო“ - „ბორუსია“ 3:1

(პირველი მატჩი 3:2)

გოლები: მბაპე, ფალკაო, ჟერმენი, როისი.

გიორგი შოთაძე

რაგბი ჩვენი თაბაშია!

აფრიკული შეკრების შედეგ


ჩვენი 7-კაცა ნაკრები ევროპის გრან პრის სერიისთვის ემზადება, რომელიც წელს მსოფლიო 7-კაცა მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიცაა.

პალიკო ჯიმშელაძის გუნდს იენისა და ივლისში ოთხი ეტაპი ელის: მოსკოვის (რუსეთი), 3-4 ივნისი, ლოდის (პოლონეთი), 10-11 ივნისი, ლიონისა (საფრანგეთი), 24-25 ივნისი და ექსტერის (ინგლისი), 15-16 ივლისი.

ყველა ეტაპზე დაკავებული ადგილების მიხედვით გუნდები ქულებს იღებენ და ვისაც 4 ეტაპის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა დაუგროვდება, ის ევროპის გრან პრის გამარჯვებული ხდება...

სერიას „გოლდენ სტიტი“ 2:0-ს იგებს. მომდევნო შეხვედრა პორტლენდში 23 აპრილს გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე



W.P. RUGBY ACADEMY SOUTH AFRICA

როგორც ჩვენი მწვრთნელი მწვრთნელი პალიკო ჯიმშელაძე საუბრობს: „ეს იყო საუკეთესო შეკრება, რომელიც ოდესმე გვქონია. „ვესტერნ პროვინსის“ აკადემიაში 12 დღე გავატარეთ და იმაზე მეტი მივიღეთ, რასაც ველოდით. ვარჯიშებს ადგილობრივი მწვრთნელები ატარებდნენ, ჩვენ უფრო დამკვირვებლები ვიყავით და გვასწავლიდნენ ყველა დეტალს, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფიზიკურად და მზადების დაახლოებით 50% ათლეტიზმს, სწორ სირბილს ეთმობა. ცალკე ვარჯიშები აქვთ მოხილურობაზე და მოქნილობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება სარაგბო ელემენტების ჩართვა. მათ განსაკუთრებული მიდგომა აქვთ დარბაზში ვარჯიშსა და დატვირთვებზე. ადგილობრივ მწვრთნელებთან უშუალო ურთიერთობის შედეგად ვისწავლეთ როგორ ადგენენ გრძელვადიან და მოკლევადიან ფიზიკურად მზადების პროგრამებს. დაგვენ-მარნენ სათამაშო პროცესშიც, სადაც ასევე დიდი ყურადღება ექცევა მეტოქის დეტალურ შესწავლას. პირველ დღეს შედარებით სუსტ მეტოქეებთან გვქონდა თამაშები, ხოლო მეორე დღეს ორ ძალიან კარგ გუნდს მორიგეობით თითო-თითო ტაიმს ვეთამაშებოდით და ჯამში ჩვენ გადაბმულად 8 ტაიმი გამოვიგეთ. პრაქტიკაში გამოცვადით ის, რაზეც მანამდე ვივარჯიშეთ და ბიჭებმა დავალებების 70-80 პროცენტი შეასრულეს. მოკლედ, ძალიან კარგი შეკრება გამოვიდა და ახლა უკვე ვიცით როგორ უნდა შევადგინოთ პროგრამა მისი ბოლომდე და რას მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება“ - აცხადებს ჯიმშელაძე.

ვისთარ პროვინსის ხელშეწყობით

ბოლო წლებში საქართველოს 7-კაცა ნაკრები ქართული რაგბის პროგრესს ფეხს ვერ უზამდა და სიტუაციის გამოსასწორებლად საქართველოს რაგბის კავშირმა ამ მიმართულებით რეფორმები წამოიწყო.

ევროპის გრან პრისთვის გუნდის უკეთ მომზადების მიზნით მარტის დასაწყისში ჩვენი 7-კაცა სამხრეთ აფრიკაში, „ვესტერნ პროვინსის“ აკადემიაში 12-დღიანი შეკრებით გაემგზავრა. ეს იმ შემთხვევაში შედეგია, რომელიც საქართველოს რაგბის კავშირსა და სამხრეთ აფრიკულ მხარეს შორის 2009 წელს გაფორმდა და შარშან დეკემბერში განახლდა.

7-კაცის მხარდაჭერა თანამშრომლობის ვრცელი მემორანდუმის ნაწილია. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ 27 აპრილს საქართველოში „ვესტერნ პროვინსის“ აკადემიის 20-წლამდელთა გუნდი ჩამოვა, რომელიც მსოფლიო რაგბის 20 წლამდელთა ჩემპიონატისთვის მზადდებაში მხარდაჭერის მიზნით უმცროს „ბორჯღალოსნებთან“ სამ საკონტროლო მატჩს გამართავს.

შეხვედრები „შეგარდენის“ სანაკრებო ბაზაზე გაიმართება, სადაც საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები შეკრებას გადის. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო რაგბის 20 წლამდელთა ჩემპიონატი წელს 31 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით თბილისსა და ქუთაისში გაიმართება.

აფრიკული შეკრება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარტის დასაწყისში „ვესტერნ პროვინსის“ აკადემიაში 7-კაცს 12 დღის განმავლობაში კვიპტაუნში უმასპინძლა. 7-კაცს აფრიკულ ტურნეზე და შთაბეჭ-

ინტერნეტიდან

განსწავლული მონიკა

ბრაზილიაში თავისი თავაშვებულობით ცნობილი სპორტული ტელენამყვანი მონიკა აპორა მიუხედავად იმისა, რომ ნამეტნავად ეპატაჟური და გავისმქნევი ვინმეა, ფაქტია, რომ სპორტი და განსაკუთრებულად კი ფეხბურთი ძალიან კარგად ესმის და ხან ისეთ ჭკვიანურ რამებს იტყვის, ბევრ ექსპერტსაც კი რომ გააოცებს.

ამას წინათ მონიკამ განაცხადა, რომ ბრაზილიის დღევანდელი საფეხბურთო ნაკრები მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგ შედეგებს აჩვენებს და ხალხმა თითქმის უკვე დაივიწყა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარი უბედურება, ეს გუნდი არ თამაშობს ბრაზილიურ ფეხბურთს და სხვათა მიმბაძველობა ბრაზილიას საბოლოო ჯამში კარგს არაფერს მოუტანს.

რამდენად გამართლებულია მონიკა აპორას ასეთი თამამი განცხადებები და პროგნოზები - ამას ყველანი ერთად აუცილებლად ვნახავთ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ როდესაც სენიორიტა მონიკა კამერის წინ ნიფხვისამარა პოზირებს, მხოლოდ ამჟღავნებულ მამრებზე არ ფიქრობს და მისი ფიქრნი სერიოზულ თემებსაც კოხტად ესება.

როსტომ რაჭვილიაშვილი



კოზა კოზახიძე

# მთავრობამ გადაწყვიტა, ხულონისი „ნამოილოს“...

არაჰინ იხის, როდის გამოჩნდება სანდო ინჟინერი

მთავრობამ ხულონისის ინვესტირებასთან შეთანხმება ვერ მოახერხა და ახლა სხვა გზით აპირებს პროექტის განხორციელებას. უკვე ცნობილი გახდა, რომ ხულონისის უელსის ელექტრიკს „პროექტიდან გასვლა შესთავაზა. ენერჯეტიკის მინისტრი აბნა კალაქი ყურადღებას ამახვილებს იმ გეგმებზე, რომელიც სახელმწიფოს აქვს დასახული.

„ჩვენ ვანარმობთ მოლაპარაკებებს ინვესტორ კომპანიასთან. გვაქვს შეთავაზება, რომ პროექტი „ნამოილოს“ სახელმწიფომ და, შესაბამისად, შემდეგ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, თუ რაფორმით განხორციელდება ეს პროექტი. პესი აუცილებლად უნდა აშენდეს, რადგან მნიშვნელოვანია როგორც ენერჯეტიკული, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით“, — განაცხადა კახა კალაქი.

გაჭიანურებულ მოლაპარაკებებს ადასტურებს „ტრანს ელექტრიკს“ ტექნიკური დირექტორი დავით მირცხულავა. „ვერაფერს გეტყვით, ჩემთვის დეტალები უცნობია. ეს შეთავაზება იგზავნება ლონდონში და დელიში. „ტრანს ელექტრიკს“ არის ამ პროექტის მფლობელი და მოლაპარაკება მასთან მიმდინარეობს. დეტალებს ვერ გეტყვით. უამრავი სუბიექტური და ობიექტური მიზეზია იმისა, რომ პროექტი რეალურად გაჩერებულია. არც ერთ პესზე და არც ერთ კიდროელექტრო პროექტზე საქართველოში ამდენი შრომა და კვლევა არ ჩატარებულა. მასშტაბების შედარებაც ძალიან არასწორია, რადგან მრავალჯერ მეტი სამუშაო გაკეთდა ამ სადგურზე, ვიდრე ნებისმიერ სხვა პესზე საქართველოში. ფაქტია, პროექტი ვერ მიმდინარეობდა ისე, როგორც უნდა წარმართულიყო“, — აღნიშნა მირცხულავამ.

საქართველოს მთავრობასა და ინდურ კომპანია Continental Energy International-ს (რომელმაც შემდგომ შეიცვალა სახელი და გახდა შპს „ტრანს ელექტრიკს“) შორის ჯერ კიდევ 2007 წლის ივნისში გაფორმდა საწყისი ურთიერთგაგების მემორანდუმი. „ტრანს ელექტრიკსამ“ მშენებლობის უფლება 2011 წელს მოიპოვა. კომპანიას 1536 ჰექტარი მიწა 1 ამერიკულ დოლარად გადაეცა.

„ლონდონში ხელმოწერილი ბოლო ხელშეკრულების შემდეგ რეალურად არაფერი გაკეთებულა. პროექტი გაჩერებულია. ჩვენ წელიწად-წელიწადი ვაგრძელებდით გარკვეულ კვლევებს, რომელიც შემდეგ უნდა აწარმოო ასეთი პროექტის შემთხვევაში, მაგრამ შემდეგ ინვესტორმა პროექტი გააჩერა“, — აღნიშნა მირცხულავამ.

ხულონისის ერთმილიარდიანი პროექტისთვის ინვესტორს უკვე 32 მილიონი დოლარი აქვს დახარჯული და დიდი ალბათობით კომპანია მიწაზე ამ თანხის დაბრუნებას მაინც მოითხოვს. გიგანტური პესის აგების საპირისპიროდ პერიოდულად იმართება აქციები. ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში დაგეგმილ პროექტს მონინალმდეგები მრავლად ჰყავს.

არსებობს მოსაზრება, რომ უსაფრთხოების ნორმების დარღვევის, მინისქვეშა ბიძგების, დივერსიის ან ტერორისტული აქტის შედეგად კაშხლის დაზიანების შემთხვევაში წყლის მასა შეუერთდება ჯვრის წყალსაცავს. არსებობს რისკი, რომ ენგურპესის კაშხალი ვერ გაუძლებს ამ რაოდენობის წყლის წნევას, გაირღვევა და 1600 მლნ კბ/მ<sup>3</sup> წყალი გამოთავისუფლდება, წყლის ეს რაოდენობა საფრთხეს უქმნის დასავლეთ საქართველოს.

ეკოლოგების ნაწილს მიაჩნია, რომ ხულონისის შეცვლის ჰავას რეგიონში, ტენიანობის მომატების შედეგად კი განადგურდება მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ძეგლი — უშგულში მდებარე სვანური ციხე-სახლები და კოშკები. შესაძლოა, ეკოციდის საფრთხის ქვეშაც აღმოჩნდეს ქვეყანა, წყლით დაიფარება 1536 ჰექტარი მიწა, საიდანაც 1100 ჰექტარი ტყეა.

სვანეთში გიგანტური პესის მშენებლობას ადგილობრივი მოსახლეობაც ეწინააღმდეგება, ისინი განსახლებას და წინაპართა საფლავების დატოვრას აპროტესტებენ.

**ვახა დანელია**

## ახალი გზით - ქოშიგორას დასახლებაში

საპროექტო რაიონში, ქოშიგორას დასახლებასთან მისასვლელი სრულიად ახალი გზა გაკეთდა. დასახლების აღმასრულებელი ხელისუფლებით დასაკავშირებ...



რებლად გზა სპეციალურად გაიჭრა და 1536-მეტრიან მონაკვეთზე ასფალტის საფარი დაიგო.

დასრულებულ სამუშაოებს ადგილზე თბილისის მერი დავით ნარმანია და საბურთალოს რაიონის გამგებელი ბექა მიქაუტაძე გაეცნენ. „ქოშიგორას დასახლებასთან დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის გაკეთება მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე მოხდა. ძველ გზაზე უსაფრთხო გადაადგილება შეუძლებელი იყო, ამიტომ ახალი გზის გაკეთება გადაწყვიტეთ. აღნიშნული გზის 1536-მეტრიან მონაკვეთზე ასფალტის საფარი დაიგო და სატრანსპორტო გადაადგილება უსაფრთხო და მოსახერხებელი გახდა“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად საბურთალოს რაიონის გამგეობამ 153 748 ლარი გამოყო.

## სულთანა

# ნური მხეიძე

ეს დღე, ეს კვირეული მათია, ჩვენგან წასული ახლობლების და თან სევდა ახლავს, ტკივილიანი. მონატრება ჰქვია ამ დღეებს და, ვინ მოთვლის რამდენი სანთელი ინთება.


ეს დღე ჩვენიცაა, აღდგომის მადლით გულგახსნილი და განათებული, ძალა სიცოცხლის და სიხარულის.

ახლა აპრილში დაბადებულ ერთ მზიან კაცს ვისხენებ, საქმიან კაცს, ოდიშის ერთი დიდი გვარის შთამომავალს, მეგრულ ნაწარზე გაზრდილს, ტრადიციების ერთგულსა და უჩინოს, მაგრამ გამორჩეულს იმ დიდი გულით, სიყვარულს რომ ვერ გაუძლო, უფრო კი იმდროინდელ გაუსაძლის ყოფას და... გაჩერდა.

ნური მხეიძე, ჩემი ტელეპერსონა, ამ ქვეყნიდან წასვლის მერე გაცნობილი. იმ ემოციამ მაშინ მის კუთხეში ჩამიყვანა, შვილის დიდ სურათთან დარჩენილ, ცრემლდამშრალ დედასთან, აქ კი, მეგობრად მიქცია მისი მეუღლე, ვინც დროულად ჰყავდა, ვინც ყოველდღე სიცოცხლის დაბადებას ზეიმობდა, როგორც ექიმი და ახლაც თავანთი დადის შვილებითა და შვილიშვილებით ბედნიერი, რასაც იმ დიდ სიყვარულს უმაღლის, ნური მხეიძე რომ ჰქვია.

ნური მხეიძე, ზუგდიდის კოლორიტი, გარეგნობისა და შინაგანი არისტოკრატიზმის ითხუნიდავად, თავმდაბალი, უხმაურო კაცი ითხოვდაადათიანელთა თაობიდან.

ახლაგაზრდა ინჟინერი ენგურპესზე დაფუძვდა. წლების მანძილზე ზუგდიდის სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელობდა. შემდეგ გაერთიანება „თბილქემში“ დირექტორის მოადგილე იყო. ერთხანს შოკოლადის ფაბრიკაშიც მუშაობდა. აღლოიანი მენარმე და სანდო პარტნიორი, ასე იღობდნენ საქმიან წრეებში და დიდი სამოც ჰყავდა. მოსკოვის ბიზნესსამყაროში ის ცნობილმა ქველმოქმედმა, ფონდ „21-ე საუკუნის“ პრეზიდენტმა ანზორ კიკალეიშვილმა შეიყვანა. მამ არც ერთს ჰყავდა და არც მეორეს, მაგრამ ნათესაობაზე აღმატებულ მათთვის ნდობა ურთიერთობა იყო. მაშინ იქ, ელისო ნარსისასთან გაიცნო უნგრეთის კონსულის ოჯახი და თოთხმეტკაციან დედეგაციას ანაკლიაში უმასპინძლა. მერე სწორედ მისი იმედით ჩამოიყვანა ანზორ კიკალეიშვილმა ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ჯეინ ფონდა და სი-ენ-ენის ერთ-ერთი დამფუძნებელი ტედ ტერენერი. დაუფინყარი დღეები სვანეთსა და ზუგდიდში მათთვის სა-



ქორწილო მოგზაურობა იყო, ნური მხეიძის მეუღლისთვის კი — დაბადების დღე, მეგობრებთან ერთად ზარ-ზეიმით რომ აღნიშნეს. ქართული სტუმარ-მასპინძლობით გაოგნებულ ამერიკელს ჩონა და ყაბალახი აჩუქეს მხეიძეებმა.

დრო მიდის... დრო არ ჩერდება. ჩონოსანი მამის ტრადიციებზე გაზრდილი კაცი მოსკოვში ვერ ძლებს, ვერ ელევთ თავის კუთხეს და ჩამოდის.

ნური მხეიძე უთქმელად ხვდებოდა, ვის სად, რაში უნდა დახმარებოდა. თუმცა, არც ისეთი შეძლებული იყო, როგორც ჩანდა, როგორც ეგონათ. მისი სიმდიდრე შვილები იყო და ბედნიერების ის 25 წელი, რომელსაც დღესაც უნთებს სანთელს მისი მეუღლე.

მას გულს ტკენდა კვენსა თავისი მიწის, შეჭირვებული ხალხის, ყველაზე მეტად კი, ქვეყანაში გამეფებული გაურკვევლობა. ნური მხეიძე ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, ვინც ვერ შეგბოძოლა დროს, ვერ გაუძლო და, წავიდა, და დატოვა თხოვნა-სურვილი, პოეტის ლექსში გაცხადებული:

„ნუ დაიჩოქებ, თორემ ძნელია წამოდგომა, ბედნიერი თუ არ იქნები, სულ ერთი წუთით, სიხარულისთვის მაინც იცოცხლე, თუ სახატეში კელაპტარი ყველა ჩაგიქრა, სულ პანანინა სინათლის შუქზე მაინც ილოცე, ოღონდ ნუ დათმობ, ნუ დაიჩოქებ!“

კურნალისკი  
ინეზა კიკაბიძე

გივი ლომინაძე ოჯახით მწუხარებით იუწყება ღირსეული, კეთილშობილი ქალბატონის

### სიალა კაპაშვილი-გვასალიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს შვილებს ირინა და შოთა გვასალიებს, რძლებს თინათინ იობაშვილს, ლუარა ალშიბაია-პაპაშვილს, შვილიშვილებს, მისიშვილებს სულხან და ლაშა პაპაშვილებს.

### სანთელი

შვილი მაია ანთელავა, და ზიზი ანთელავა, შვილიშვილები ნანა, ნინო, თენგიზ დათიაშვილები, შვილთაშვილები ეკატერინე, ალექსანდრე ზედგენიძეები, ლუკა დათიაშვილი, სიძეები ვახტანგ ბერულავა, თემურ დათიაშვილი, ნიკოლოზ ზედგენიძე, რძალი მარიამ სარჯველაძე, მძახალი თენგიზ დათიაშვილი, დისშვილები დალი, გიორგი ბერულავები ოჯახებით, ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის დამსახურებული მუშაკი, მედიცინის დოქტორი


### გივი ანთელავა

პანაშვიდი 21, 22 IV, 16 სთ. გამოსვენება 23 IV, 14 სთ. თბილისი, იოსებძის ქ. №72 ბ, VI სადარბაზო.



სულიერება

მარია ღვთისმშობლის ხატის „წყარო ცხოვრებისა“ დღესასწაული



ან კიდევ „ცხოველსმყოფელ წყაროს – „წყარო ცხოვრებისა“ ეწოდება და ლეონ I-ის მიერ V საუკუნეში წყაროსთან არის დაარსებული.

საგულისხმოა, რომ ტაძარს, რომელიც წყაროზე არსებობს, ნიკიფორე კალისტისი აღწერს... წყაროზე აღმართული ტაძარი დაარსდა ტყიან, კვიპაროსებითა და ჭადრებით დაბურულ ადგილას.

ამბობენ, რომ ამ წყაროსთან მისული ავადმყოფნი იკურნებოდნენ.

ნიშნდობლივია, რომ მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ტაძარი დაძველდა, ლეონ ბრძენმა ის განაახლა და მარიამ ღვთისმშობლის სადიდებად, მისი კურთხევის დღესასწაულთან დაკავშირებით შესაბამისი დღესასწაულიც დაადგინა.

„წყარო ცხოვრებისა“ კონსტანტინოპოლიდან დასავლეთით მდებარეობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხატი „წყარო ცხოვრებისა“ სხვა ბერძნულ ტაძრებს შორის ბრწყინვალეობითა და სილამაზით გამოირჩევა.

აღსანიშნავია, რომ XV საუკუნეში ნიკიფორე კალისტისმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის – „წყარო ცხოვრებისა“ აღნიშვნა გარდამავალ დღესასწაულთა რიგში მოაქცია, როგორც, მაგალითად, ათონის ივერიის მონასტრის ტრადიციითაა დადგენილი ბრწყინვალე შეიდეულის სამშაბათს „ივერიის ღვთისმშობლის“ ხატის დღესასწაული.

გიული ლიპარტია

21 აპრილს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის „წყარო ცხოვრებისა“ დღეს.


...ცნობილია, რომ ეს დღესასწაული აღდგომის პირველი, ანუ ბრწყინვალე შეიდეულის პარასკევს აღნიშნება, მას სხვანაირად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრის განახლების,

პრობლემა

აკოქალიფსი მუცნიერულად, ანუ რამდენი ნაბიჯი დაგვრჩა საყოველთაო კატასტროფაზე

რხნი ღორი

მს სცენარი ნანოტექნოლოგიების გზამკვლევაში ერიკ დრექსლერმა ჯერ კიდევ 30 წლის წინათ აღწერა. მინიატიურული (ზომით უჯრედისხელა), ნანომასალებისგან შექმნილი რობოტები ადამიანის კონტროლს აღარ დაემორჩილებიან, შეაგსებენ მთელ პლანეტას, შთანთქავენ მთელ ბიომასას და რუხ ლორწოდ აქცევენ მას.



ლაპარაკია თვითნარმოების უნარის მქონე რობოტებზე, ანუ ისეთებზე, რომლებსაც საკუთარი თავის ანალოგის წარმოება შეუძლიათ. მათ რეპლიკატორები ეწოდება. მათთვის ყველაზე მეტად მიმზიდველია ბიომასა, ვინაიდან ის ნახშირბადაც შეიცავს და ენერგიასაც, რომლის მიღება უანგვის ხარჯზე შეიძლება.

დასასრული. დასაწყისი №. №79

გამოკვლევებით დგინდება, რომ დედამიწის მთელი ბიომასის დამუშავება (მათ შორის, ადამიანებისაც) ნანორობოტებს სულ რაღაც ორ დღე-ღამეში შეუძლიათ (!). კონტროლიდან გამოსულ თვალათ უხილავ მექანიზმებს შეუძლიათ ფარულად ადამიანებზე იერიშის მიტანა, მათთვის ტოქსინების შესხურებით ან ტვინში შეღწევით.

დღესდღეობით ნანორობოტების დამუშავების საკითხებს პროფილურ სამეცნიერო კონფერენციებზე სწავლობენ და, ადრე თუ გვიან, ისინი შეიქმნება. ტენდენცია საეხსებით ცხადია: სამხედრო ტექნიკა (იგივე საბრძოლო უპილოტო მფრინავი აპარატები) ზომებში სულ უფრო მეტად მცირდება, არადა, სწორედ ამ დარგში წარმოიშვება ყველაზე პერსპექტიული სამეცნიერო იდეები.

სულ ცინცხალი ამბავი მოვიდა ბრისტოლიდან (დიდი ბრიტანეთი): იქაურმა მეცნიერებმა შექმნეს რობოტი, რომელსაც ცოცხალი ორგანიზმების შთანთქმა და, ამის ხარჯზე, მისთვის საჭირო ენერჯის მიღება შეუძლია (!) მის გამოყენებას წყალსაცავების გასანმუნდად აპირებენ. მაგრამ, აბა, დაფიქრდეთ, რა შეიძლება მოხდეს, ეს რობოტი ბაქტერიებსა და წყლის პერსონს რომ არ დასჯერდეს?

ვიკისი აკომუნიტატი

თუკი კაცმა ბიოლოგია რაღაც დონეზე მაინც იცის და გარკვეული თანხაც „თავის ხოშზე“ შეუძლია დახარჯოს, მას თავისუფლად შეუძლია საკუთარ ავტოფარეზში მინი-ლაბორატორიის მოწყობა, მათ შორის ვირუსების საწარმოებლად. ბიოჰაკერობა – დამოუკიდებელ მოყვარულ მეცნიერთა ჰობი შესაძლოა, მთელი ატმოსფეროსთვის დაუძლეველ საფრთხედ გადაიქცეს.

მოძრაობის სათავეებთან ამერიკელი ფიზიკოსი ასპირანტი რომ კარლსონი იდგა, რომელიც ოცნებობდა, რომ ბიოტექნოლოგიები ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, ამიტომაც პირველი ლაბორატორია საკუთარ სახლში შექმნა. მისი მაგალითი გადამდები აღმოჩნდა. ამჟამად ბიოჰაკერები ქმნიან მანათობ



მოამზადა ოთარ ტურაბაიძემ

„ბლუმბერგის რეაქია“ საქართველო დაბალი რისკის ქვეყნებს შორისაა

„ბლუმბერგი“ გლობალური რისკების რუკას აქვეყნებს. გამოცემა მსოფლიოს ქვეყნების წინაშე არსებულ საფრთხეებს აფასებს, რომელსაც ქვეყნები მიმდინარე წელს დაუპირისპირდებიან.

რუკაზე „ბლუმბერგი“ გამოყოფს ოთხ ძირითად კომპონენტს – რეზერვებს, უმუშევრობას, ინფლაციას და სავალუტო რევევებს. საქართველოში უმუშევრობის რისკ ფაქტორი 11,4%-ით შეფასდა, ინფლაციის კი 6,2%-ით. ამ შეფასების მიხედვით, საქართველო დაბალი რისკების მქონე ქვეყანაში მოხვდა.

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს – რუსეთი დაბალი რისკების ქვეყნებს შორის მოხვდა, უკრაინა და თურქეთი კი საშუალო რისკების ქვეყნებს შორის.

ყველაზე დაბალი რისკების მქონე ქვეყნების პირველ ხუთეულში არიან: ჰონგ-კონგი, შვეიცარია, სინგაპური, საუდის არაბეთი, ტაივანი.



ბელ იოგურტებს, ეძებენ პერსპექტიული ბიოსანვავის ფორმულას და სწავლობენ საკუთარ გენომებს. მთელ საჭირო მონაცემებს (მათ შორის, სინთეტიკური დნკ-ს ნიმუშებს) ისინი ინტერნეტის მეშვეობით ყიდულობენ, მიკროსკოპებს კი იაფფასიანი ვებ-კამერებიდან აკეთებენ.

პრობლემა ის არის, რომ მსოფლიო ქსელში თავისუფალ წვდომაში მრავალი ვირუსის კოდა – ესენია ებოლას ციება, „ესპანურა“ გრიპი, ყვავილი. ამდენად, სურვილის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ცოცხალი უჯრედების შექმნა როგორც გენბავთ წინასწარ მინიჭებული თვისებებით – ესენი იქნებიან ვირუსები, ბაქტერიები, მომაკვდინებელი პათოგენები თუ სხვა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთია ამ საქმეს „თავის შესაქცევად“ და ცნობისმოყვარეობის გამო მიყოლა და სულ სხვაა დაშინებისა და შანტაჟის მიზნით. თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ ფუტუროლოგები გამოიციხავენ „ქვეყნიერების დასასრულის“ ისეთ სცენარს, სადაც კაცობრიობას ბოლოს მოუღებს რომელიმე მოყვარული ბიოლოგის კუსტარულ ლაბორატორიაში გამოყვანილი ჭირი.

აღსანიშნავია, რომ პრობლემის საფრთხე ჯერ კიდევ 10 წლის წინათ გაითვალისწინეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რის შედეგად გამოძიებათა ფედერალურ ბიუროში ბიოჰაკინგთან მეტროპოლი ქვედანაყოფი შექმნეს. შედეგად, ბიოჰაკერებს განმარტებების მიცემა უწევთ, თუ რას აკეთებენ კონკრეტულად და რა მიზნით.

მოამზადა ოთარ ტურაბაიძემ

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS REPUBLIKA

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 293-13-34 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16;

ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე 514 33-33-24

გამომცემლობა: შპს „თანადგომი“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „კოლორი“ რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაეკ)070.4(479.22) ს-323



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ უენი გაზეთია, აუსილებლად წაიკითხე!

სკ უსსოპი პალატის ქარსი: აშშ ფონი - 2.3963; ეპრო - 2.5708; ბრიტანული ბიკანა სტარლინი - 3.0749; 100 რუბლი - 4.2692; თურქული ლირა - 0.6543; აზერბაიჯანული მანათი - 1.4253; 1000 სომხური დრამი - 4.9388.

აპრილი 21 აპრილისთვის: აქციონერული საქართველო: ბანი - ღამე +7, დღე +25; შიანი რაიონები - ღამე +3, დღე +23; დასავლეთი საქართველო: ბანი - ღამე +11, დღე +26; შიანი რაიონები - ღამე +5, დღე +23; თბილისი: ღამე +8, დღე +25

დაგვიკავით, მოგვწერით: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge